ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ განხორციელებული/დაგეგმილი პრევენციული ღონისძიებები ძალადობის წინააღმდეგ

სასკოლო კონკურსები

„სასკოლო კონკურსების“ ქვეპროგრამის ფარგლებში სამინისტრომ, 2018 წლის მარტში, ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში, ჩაატარა სლოგანებისა და ვიდეო რგოლების კონკურსი „ნაბიჯი თანადგომისკენ“. კონკურსის მიზანი იყო მოზარდებს გამოეხატათ თავიანთი დამოკიდებულება ძალადობის სხვადასხვა ფორმების მიმართ. შეხებოდნენ ისეთ მწვავე თემატიკას, როგორიცაა ბულინგი და მისი გამოხატვის სხვადასხვა ფორმები (ფიზიკური, ვერბალური, ფსიქოლოგიური და კიბერბულინგი) და წარმოედგინათ მისი პრევენციის გზები.

სასკოლო კონკურსში „ნაბიჯი თანადგომისკენ“ მონაწილეობა მიიღო 151 სკოლის 1702 მოსწავლემ. გამოვლინდა I, II, III ადგილზე გასული ნამუშევრები, რომელთა ავტორები დაჯილდოვდებიან კომპიუტერული ტექნიკისა და აქსესუარების ვაუჩერით.

2018-2019 სასწავლო წელს გამოცხადდება “დღიურების” კონკურსი ძალადობის თემაზე.

სპორტი

სამინისტრო ახალისებს მოსწავლეთა სპორტულ აქტივობებში ჩართვას:

- ✓ **„ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშეწყობის“** ქვეპროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს სპორტული ოლიმპიადები:

• მოსწავლეთა მონაწილეობით მიმდინარეობს სპორტული შეჯიბრი (8000-ზე მეტი)

• სპორტულ აქტივობაში ჩაერთვება საქართველოს საჯარო და კერძო სკოლების 100 000-მდე მოსწავლე

- ✓ მიმდინარეობს **„სასკოლო აქტივობების“** პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია უფასო სპორტული წრეების დაფინანსება.

შეხვედრები მოსწავლეებთან

ჩატარდა შეხვედრების ციკლი: **„მოვუსმინოთ მოსწავლეებს“.** 2500-ზე მეტ შეხვედრაში 65000-ზე მეტი მოსწავლე ჩაერთო. მოსწავლეები ფსიქოლოგებთან, სამინისტროს და რესურსცენტრების წარმომადგენლებთან, არასამტავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებტან, ცნობილ ადამიანებთან ერთად განიხილავდნენ ძალადობის მიზეზებს და მის წინააღმდეგ ბრძოლის გზებს.

უსაფრთხოების მონიტორინგის შიდა და გარე სისიტემის განვითარება შეფასების ინსტრუმენტის გადამუშავება

ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურთან ერთად შეფასების განახლებული ინსტრუმენტის მეშვეობით სისტემატურად განახორციელებს უსაფრთხოების მონიტორინგს და შეაფასებს სპეც. პროგრამებში ჩართული მოსწავლეების პროგრესს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტის მიერ მომზადდა **„მოსწავლეთათვის უსაფრთხო და ძალადობისაგან თავისუფალი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობის“** ქვეპროგრამა, რომლის ფარგლებში იგეგმება სკოლებში პრევენციასა და ძალადობის შემცირებისკენ მიმართული მთელი რიგი ღონისძიებების განხორციელება:

ცნობიერების ამაღლება ძალადობის წინააღმდეგ

მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლების და საზოგადოების ნებისმიერი წევრის ძალადობის სახეების, მიზეზების, ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გზების შესახებ ინფორმირების და შესაბამისი რეკომენდაციების მიწოდების მიზნით, შექმნილია ძალადობის წინააღმდეგ საინფორმაციო ვებგვერდი. ვებგვერდზე განთავსდება ფსიქოლოგთა რეკომენდაციები, დაინერგება ონლაინ კონსულტაციის სერვისი და „ცხელი ხაზის“ მომსახურება.

დაიბეჭდება და სკოლებში გავრცელდება საინფორმაციო-სარეკომენდაციო ლიფლეტები/ბუკლეტები მასწავლებლების, მშობლების და მასწავლებლებისთვის.

დაგეგმილია საგანმანათლებლო ექსკურსიების განხორციელება - შსს-ს საექსპერტო-კრიმინალისტიკურ დეპარტამენტში, სსიპ შსს აკადემიში და სსიპ 112, სადაც ჩაერთვება თბილისის 20 სკოლა (1200 მასწავლე).

ადრეული ქორწინების რისკების და ძალადობის სხვა სახეების შესახებ მშობელთა ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით, დაგეგმილია საინფორმაციო შეხვედრების ჩატარება იმ რეგიონის მშობლებთან, სადაც მეტად ფიქსირდება ადრეული ქორწინების ფაქტები. შეხვედრებში ჩაერთვებიან შსს-ს და სოც. სამსახურის თანამშრომლები.

სასკოლო კულტურის განვითარების მხარდაჭერა

სამინისტრო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებს ხელს შეუწყობს ძალადობის წინააღმდეგ მიმართული არასაგაკვეთილო აქტივობების დაგეგმვა/ორგანიზებს. სკოლები შეიმუშაონ და განახორციელონ ძალადობის საწინააღმდეგო სამოქმედო გეგმებს, სადაც გათვალისწინებული იქნება შესაბამისი აქტივობები. ზოგადი განათლების მართვისა და განვითარების დეპარტამენტი სკოლებს, მხარდაჭერის მიზნით, მიაწვდის სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის შესაბამის რეკომენდაციებს.

სამოქმედო გეგმის ფარგლებში სკოლები ჩაატარებენ ანტიბულინგის კვირეულს, რომლის ფარგლებში განხორციელდება ძალადობის საწინააღმდეგო სხვადასხვა ღონისძიებები.

დაგეგმილია ძალადობის წინააღმდეგ მთელი საქართველოს მასშტაბით მოსწავლეთა მარათონის ჩატარება, სადაც ყველა საჯარო სკოლა ჩაერთვება.

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნა

სკოლებში, სადაც მოსწავლეთა რაოდენობა შეადგენს 100-დან 300 მოსწავლითა ჩათვლით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს რეკომენდაციით, განისაზღვრება სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი (სკოლის გადაწყვეტილებით - დირექტორის მოადგილე, მასწავლებელი).

უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები გაივლიან შესაბამის გადამზადებას და მიიღებენ სერტიფიკატს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის მიერ.

სკოლის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციასთან ერთად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულების ტერიტორიაზე წესრიგისა და დისციპლინის დაცვას; საგანმანათლებლო დაწესებულებაში ან/და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მომხდარი და გამოვლენილი სამართალდარღვევების აღკვეთას და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირებას; დაპირისპირებულ მოსწავლეებს შორის მედიატორის როლის შესრულებას, კონფლიქტური სიტუაციის გამოვლენას და კონფლიქტის მოგვარებას; ფსიქო-სოციალური და ქცევითი დარღვევების მქონე მოსწავლეების გადამისამართებას (რეფერირებას) საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქოლოგიური მომსახურების ცენტრში ან საგანმანათლებლო დაწესებულების ფსიქოლოგთან.